

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიამ ჰიპერმარკეტს
ჯორჯია“
2019 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“-ს დირექტორთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას მითითებული თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობის ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშის წაკითხვას და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებით, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მმართველობის ანგარიშთან დაკავშირებულ რწმუნებას. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ მმართველობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
29 სექტემბერი, 2020 წელი

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვევებ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარაიანი

შპს „KPMG Georgia“

29 სექტემბერი, 2020 წელი

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
2019 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

‘000 ლარი	შენიშვნები	2019	2018*
შემოსავალი	6	473,688	454,775
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(381,234)	(368,558)
საერთო მოგება		92,454	86,217
საოპერაციო ხარჯები	8	(87,837)	(88,810)
სხვა ხარჯები		(33)	(74)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		4,584	(2,667)
ფინანსური შემოსავალი	9	2,511	2,520
ფინანსური ხარჯები	9	(39,617)	(26,901)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(37,106)	(24,381)
წლის ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(32,522)	(27,048)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(32,522)	(27,048)

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ახალ სტანდარტზე გადასვლის შერჩეული მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 21.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

‘000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	53,963	61,576
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	11	3,205	2,160
აქტივები გამოყენების უფლებით	5,21	24,078	-
		81,246	63,736
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	34,472	29,978
სხვა მოთხოვნები	13	4,034	6,866
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	60,476	63,595
		98,982	100,439
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	17	225,972	209,255
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	111,177	99,466
ანარიცხები	19	2,140	2,399
საიჯარო ვალდებულება	5	4,681	-
		343,970	311,120
წმინდა მიმდინარე ვალდებულებები		(244,988)	(210,681)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები თანამშრომელთა საბოლოო სარგებლისთვის	20	2,516	2,350
სესხები და კრედიტები	17	-	4,689
საიჯარო ვალდებულება	5	20,248	-
		20,764	7,039
წმინდა ვალდებულებები		(186,506)	(153,984)
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,876	4,876
დაგროვილი ზარალი		(191,382)	(158,860)
სულ კაპიტალი		(186,506)	(153,984)

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ახალ სტანდარტზე გადასვლის შერჩეული მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 21.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

დავით ქარქაშაძე
რეგიონალური ფინანსური
მენეჯერი

კრისტოფ ორკეტ
რეგიონალური გენერალური
მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

‘000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	53,963	61,576
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	11	3,205	2,160
აქტივები გამოყენების უფლებით	5,21	24,078	-
		81,246	63,736
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	34,472	29,978
სხვა მოთხოვნები	13	4,034	6,866
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	60,476	63,595
		98,982	100,439
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	17	225,972	209,255
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	111,177	99,466
ანარიცხები	19	2,140	2,399
საიჯარო ვალდებულება	5	4,681	-
		343,970	311,120
წმინდა მიმდინარე ვალდებულებები		(244,988)	(210,681)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები თანამშრომელთა საბოლოო სარგებლისთვის	20	2,516	2,350
სესხები და კრედიტები	17	-	4,689
საიჯარო ვალდებულება	5	20,248	-
		20,764	7,039
წმინდა ვალდებულებები		(186,506)	(153,984)
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,876	4,876
დაგროვილი ზარალი		(191,382)	(158,860)
სულ კაპიტალი		(186,506)	(153,984)

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ახალ სტანდარტზე გადასვლის შერჩეული მეთოდის ფარგლებში, შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 21.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

დავით ქარქაშაძე
რეგიონალური ფინანსური
მენეჯერი

კრისტოფ ორკიტ
რეგიონალური გენერალური
მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

*შპს „მაგიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლისათვის*

‘000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	4,876	(131,812)	(126,936)
წლის მთლიანი სრული ზარალი			
წლის ზარალი	-	(27,048)	(27,048)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(27,048)	(27,048)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	4,876	(158,860)	(153,984)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს*	4,876	(158,860)	(153,984)
წლის მთლიანი სრული ზარალი			
წლის ზარალი	-	(32,522)	(32,522)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(32,522)	(32,522)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	4,876	(191,382)	(186,506)

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ახალ სტანდარტზე გადასვლის შერჩეული მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 21.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

‘000 ლარი	2019	2018
საოპერაციო საქმიანობები		
წლის ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(32,522)	(27,048)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა	16,433	11,535
საპროცენტო შემოსავალი	(2,511)	(2,520)
საპროცენტო ხარჯი	24,182	19,518
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	33	74
უცხოური ვალუტის გაცვლით წარმოშობილი ზარალი	15,435	7,383
მოძრაობა თანამშრომელთა საბოლოო სარგებელში (თანამშრომელთა გრძელვადიანი სარგებლის ჩათვლით)	166	446
	21,216	9,388
<i>ცვლილებები:</i>		
მარაგებში	(4,494)	(2,416)
სხვა მოთხოვნებში	2,832	2,235
ვალდებულებებში დაკავშირებული მხარეების მიმართ (იხილეთ შენიშვნა 17)	20,330	13,493
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში და ანარიცხებში	11,452	3,092
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტის გადახდამდე	51,336	25,792
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	(2,229)	-
სესხებზე და კრედიტებზე გადახდილი პროცენტი	(123)	(945)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	48,984	24,847
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(6,471)	(12,061)
ძირითადი საშუალებების გადაცემა დაკავშირებული მხარეებისგან	-	(14)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	4	31
მიღებული პროცენტი	2,511	2,520
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,956)	(9,524)
ფინანსური საქმიანობა		
ბანკისგან აღებული სესხების და კრედიტების დაფარვა	(7,814)	(3,125)
დაკავშირებული მხარისგან მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(37,446)	-
საიჯარო ვალდებულების გადახდები	(2,580)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(47,840)	(3,125)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(2,812)	12,198
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	63,595	51,472
გაცვლითი კურსის მოძრაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(307)	(75)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს (იხილეთ შენიშვნა 14)	60,476	63,595
აღნიშნული მოიცავს შემდეგს:		
ფულადი სახსრები ბანკში	56,299	60,059
ბანკებისგან მისაღები ფულადი სახსრები გზაში	3,466	2,861
ფულადი სახსრები სალაროში	711	675

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. ახალ სტანდარტზე გადასვლის შერჩეული მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 21.

კომპანია აკლასიფიცირებს:

- საიჯარო გადახდების ძირითადი ნაწილის ფულად გადახდებს ფინანსური საქმიანობის სახით;
- პროცენტის ნაწილის ფულად გადახდებს საოპერაციო საქმიანობის სახით, კომპანიის მიერ შერჩეული პროცენტის გადახდების წარდგენის შესაბამისად.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	15. კაპიტალი	22
2. მომზადების საფუძველი	11	16. კაპიტალის მართვა	23
3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა	12	17. სესხები და კრედიტები	23
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	13	19. ანარიცხები	25
6. შემოსავალი	15	20. თანამშრომელთა საბოლოო სარგებლის ანარიცხი	25
7. გაყიდვების თვითღირებულება	17	21. იჯარები	25
8. საოპერაციო ხარჯები	17	22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	26
9. წმინდა ფინანსური ხარჯები	18	23. პირობითი ვალდებულებები	31
10. ძირითადი საშუალებები	19	24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები	31
11. ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	21	25. შემდგომი მოვლენები	32
12. მარაგები	21	26. შეფასების საფუძველი	33
13. სხვა მოთხოვნები	21	27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	33
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22	28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	45

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) 2011 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. კომპანია დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 404923749.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელის ფუნქციონირება და მართვა. 2012 წლის სექტემბერში, კომპანიამ გახსნა თავისი პირველი ჰიპერმარკეტი „კარფური“ თბილისში, საქართველო. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ამუშავებს ორ ჰიპერმარკეტს, თერთმეტ სუპერმარკეტს და ექვს პატარა მარკეტს (31 დეკემბერი 2018: ორი ჰიპერმარკეტი და თერთმეტი სუპერმარკეტი).

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: სასწავლო ექსპერიმენტალური ფერმის ტერიტორია, თბილისი, საქართველო.

კომპანია არის შპს „Majid Al Futtaim Hypermarkets“-ის შვილობილი, რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფლობს 100%-იან წილს. კომპანიის დაფინანსებისა და საკრედიტო დამოკიდებულების უმეტესობა შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფიდან („ჯგუფი“) მოდის. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფ ჯგუფზე. ამასთან, კომპანიის საქმიანობები მჭიდროდ არის დაკავშირებული შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან. ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან განხილულია 24-ე შენიშვნაში.

შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფის საბოლოო მფლობელი კომპანიაა შპს „Majid Al Futtaim Capital“.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება სადაც გამოყენებულია ფასს 6 „იჯარები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

(b) უწყვეტი ფუნქციონირება

COVID-19-ის მიმდინარე მდგომარეობის მიუხედავად (იხილეთ შენიშვნა 25), ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს შესაბამისად ქვემოთ წარმოდგენილი მიზეზების გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა ფულადი ნაკადების პროგნოზი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის შემდეგ 12-თვიანი პერიოდისთვის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გონივრულად შესაძლებელი მოვლენათა უარყოფითი განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, აღნიშნული პერიოდისთვის. პროგნოზები აკეთებს დაშვებას, რომ:

- კომპანია არის ზარალიანი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ძირითადად განპირობებულია მშობელი კომპანიისგან აღებული, აშშ დოლარში დენომინირებული სესხებიდან გამომდინარე ფინანსური ხარჯებით, სხვაგვარად კომპანიას აქვს ჯანსაღი ფულადი ნაკადები, რასაც ამტკიცებს 2019 წლის განმავლობაში მშობელი კომპანიის სესხის ნაწილობრივი დაფარვა 37,400 ათასი ლარის ოდენობით და EBRD-ის სესხის სრული დაფარვა 7,800 ათასი ლარის ოდენობით.

- წინა წლების ზარალების მიუხედავად, კომპანიას აქვს აგრესიული ზრდის სტრატეგია (კომპანიამ გახსნა 6 პატარა მაღაზია 2019 წელს), რაც დაგეგმილია რომ გაგრძელდეს 2020 წლის განმავლობაში და ამის შემდეგ;

- COVID-19-ის აფეთქებას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე, სააღდგომო არდადეგების განმავლობაში მხოლოდ 2 ჰიპერმარკეტი დაიხურა - შემოსავლის ზოგადი მცირე შემცირება არის მოსალოდნელი, თუმცა ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, მაგ. EBIT მოსალოდნელია რომ დარჩება სტაბილური და გამოიყენებს მიმდინარე ხარჯების ოპტიმიზაციის სქემებს.

- კომპანიამ მიიღო მხარდაჭერის წერილი მშობელი კომპანიისგან რომელიც მიანიშნებს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მშობელი კომპანია უზრუნველყოფს დამატებით ფინანსურ და/ან სხვა მხარდაჭერას, რათა მხარი დაუჭიროს საწარმოს ადგილობრივ ბაზარზე გაფართოების გეგმებს.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ COVID-19-ის პანდემიას და შედეგად ქვეყნის ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის შემცირებას, ასევე უარყოფით განვითარებას გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე და, მაშასადამე არ არსებობს არსებითი გაურკვევლობები, რომლებმაც შეიძლება არსებითი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით.

3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-თან შესაბამისობაში მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, ისევე როგორც ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განაპირობონ არსებითი კორექტირებები მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1(b) – ჯგუფის საწარმოების მხარდაჭერაზე დამოკიდებულება;
- შენიშვნა 6(c) – ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები;
- შენიშვნა 17 – მშობელი კომპანიისგან აღებული არაუზრუნველყოფილი სესხის კლასიფიკაცია;
- შენიშვნა 21 – იჯარის ვადა და დისკონტირების განაკვეთი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, კომპანია შემოღებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიაში სხვადასხვა დონის მიხედვით, იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„კომპანია“ მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღიარებს, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია განსაზღვრულია შენიშვნაში 22(ა) - *ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება*.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

ფასს 16

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

- (a) ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, კომპანია როგორც მოიჯარე აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს აღნიშნული აქტივები და საიჯარო ვალდებულებებს, რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა. კომპანიამ გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და აქტივი გამოყენების უფლებით შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით (კორექტირებული ავანსებით და დარიცხვებით). შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ ყოფილა გადანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. დამატებით, ფასს 16-ის ახსნა-განმარტების მოთხოვნები ზოგადად არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

(b) იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17 იჯარების და ფასიკ 4 როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით. ფასს 16-ის ფარგლებში ხელშეკრულება არის ან მოიცავს იჯარას თუ ხელშეკრულება გადასცემს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული დროით, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მასასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

(c) როგორც მოიჯარე

როგორც მოიჯარე, კომპანია ძირითადად იჯარით იღებს მაღაზიების და საოფისე სივრცეებს. კომპანია ადრე იჯარებს საოპერაციო ან ფინანსური იჯარების სახით აკლასიფიცირებდა, მისი შეფასების მიხედვით იმისა გადასცემდა თუ არა იჯარა კომპანიას არსებითად ყველა რისკს და ანაზღაურებას რომელიც შესაბამისი აქტივის ფლობას უკავშირდებოდა. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია ზემოაღნიშნული იჯარებისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები არის საბალანსო.

იჯარის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცლილებისას, კომპანია ანაწილებს ხელშეკრულებაში მითითებულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით.

(d) ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები

ადრე, კომპანია ქონების იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა.

აღნიშნული იჯარებისთვის, ფასს 16-ზე გადასვლისას, საიჯარო ვალდებულებები შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული კომპანიის 2019 წლის 1 იანვარს არსებული მზარდი სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების ოდენობით.

გადასვლის თარიღისთვის, კომპანიამ განახორციელა მისი აქტივები გამოყენების უფლებით გაუფასურებაზე ტესტირება და დაასკვნა, რომ არ არსებობს მინიშნება იმისა რომ აქტივები გამოყენების უფლებით არის გაუფასურებული.

(e) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

i. გავლენა გადასვლისას

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ აღიარა დამატებითი აქტივები გამოყენების უფლებით და დამატებითი საიჯარო ვალდებულებები. გავლენა გადასვლისას შეჯამებულია ქვემოთ:

1 იანვარი 2019

‘000 ლარი

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, როგორც განმარტებულია ბასს 17-ის ფარგლებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში
დისკონტირებული მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით 2019 წლის 1 იანვრისთვის
საიჯარო გადახდები იმ პერიოდში, როდესაც გონივრულად სარწმუნოა გახანგრძლივების შესაძლებლობის გამოყენება
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვარს

8,578

(1,655)

20,125

27,048

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი 2019 წლის 1 იანვარს არსებული, მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით. საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 9%-ი.

ii. წლის გავლენა

ფასს 16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, იყო შემდეგი:

‘000 ლარი	იჯარა
აქტივები გამოყენების უფლებით ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	27,048
გადაფასება	461
ცვთვის დარიცხვა წლის განმავლობაში	(3,431)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	24,078
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვარს	27,048
გადაფასება	461
პროცენტის დარიცხვა	2,229
გადახდები	(4,809)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	24,929

რიგი სხვა ახალი სტანდარტები და კორექტირებები არსებულ სტანდარტებში შევიდა ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე (გარდა ზემოთ აღწერილისა).

6. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

‘000 ლარი	2019	2018
მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	473,688	454,775

(b) მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ცხრილში მოცემულია მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების, შემოსავლის წყაროებისა და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

‘000 ლარი	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	
	2019	2018
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	473,688	454,775
	473,688	454,775
ძირითადი შემოსავლის წყაროები		
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	454,209	429,901
შემოსავალი ლისტიგის და გონდოლას საფასურისგან	5,000	15,432
შემოსავალი საპრომოციო -სარეკლამო საქმიანობიდან და პროდუქციის წარდგენის საფასურისგან	13,577	8,997
შემოსავალი გახსნის საფასურისგან	691	236
სხვა	211	209
	473,688	454,775
შემოსავლის აღიარების ვადები		
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული დროის გარკვეულ მომენტში	455,111	430,346
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული გარკვეული დროის მანძილზე	18,577	24,429
შემოსავალი კლიენტბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	473,688	454,775

(c) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი აღიარდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობის მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს კლიენტს უფლებებს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხისა და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მიხედვით
საქონლის გაყიდვა	მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი იყიდება მომხმარებლებზე მაღაზიებში „გაყიდვის წერტილში“ (POS). კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე „გაყიდვების წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულის მიღების/საკრედიტო ბარათით გადახდის საპირწონედ.	შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია შემოსავლად აღიარებს გარიგების ღირებულების ოდენობას, რაც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და შეღავათების, დღგ-ს და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.
ლისტიנגის და გონდოლას საფასური	მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში მომწოდებლებს საფასური ეკისრება მათი პროდუქციის წარდგენისთვის მიკუთვნებული სივრცისთვის (გონდოლას თავში/ძირში), მინიჭებული სივრცის, შეთანხმებული განაკვეთის და მომსახურების პერიოდის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც გონდოლა მინიჭებულია მომწოდებელზე. ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია გარკვეული დროის განმავლობაში მომწოდებლის პროდუქციისთვის გონდოლას სივრცის უზრუნველყოფასთან ერთად.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება დარიცხვის საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს, დაფარული სივრცის, გონდოლას ხანგრძლივობის და გამოყენებული განაკვეთების მიხედვით.
საპრომოციო - სარეკლამო საქმიანობა და პროდუქციის წარდგენის საფასური	მსგავსი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მომწოდებლებს საფასური მათი პროდუქციის ყველა ღონისძიებაზე სასურველ სივრცეში წარმოდგენისთვის ეკისრებათ. განაკვეთი (%) შეთანხმებულია მომწოდებლის ხელშეკრულებაში და განსხვავდება მომწოდებლების მიხედვით სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (სასურველი სივრცის მდებარეობა, მაღაზიების რაოდენობა, სივრცის ოდენობა, პერიოდი და ა.შ). ეს მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მომწოდებლებისთვის რომლებმაც აირჩიეს ეს მომსახურება ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. მომწოდებლებს შეუძლიათ არ აირჩიონ მოცემული მომსახურება მათი მოთხოვნების მიხედვით. კომპანიას გააჩნია სპეციალიზირებული გაყიდვების გუნდი, რომელიც გეგმავს ასორტიმენტის პოზიციონირებას და სახეობას მომწოდებლის მოთხოვნების და საქონლის ტიპების მიხედვით. ნაკისრი ვალდებულებები მოიცავს მომწოდებლის საქონლის პოზიციონირებას მაღაზიის ისეთ სივრცეში, სადაც ის უფრო მეტ სასურველ ყურადღებას მიიპყრობს კლიენტებისგან და მაღაზიის	შემოსავალი აღიარდება ყოველი თვის ბოლოს მომწოდებლის საქონლის გაყიდულ ოდენობაზე წინასწარ შეთანხმებული განაკვეთის (%) გამოყენებით. აღიარებული საფასური აღდგენილია მომწოდებლისგან შეძენილი საქონლისთვის წარმომოხმონი ვალდებულებების გაქვითვის გზით.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მიხედვით
	შიდა საპრომოციო ღონისძიებების ჩატარებას მომწოდებლის კონკრეტული პროდუქციის რეკლამირების მიზნით. ნაკისრი ვალდებულებები კმაყოფილდება დროის განმავლობაში როდესაც მომწოდებელს მიეწოდება აღნიშნული მომსახურება.	
გახსნის საფასური	მსგავსი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მიღებული საფასური უკავშირდება მაღაზიის გახსნის ღონისძიებას, როგორც შეთანხმებულია მომწოდებლებთან. გახსნის საფასური არის ერთჯერადი საფასური მომწოდებლის საქონლის პოზიციონირებისთვის მაღაზიაში, რომელიც აღიარდება გახსნის მომენტში. საფასური არ ექვემდებარება შემდგომ პირობებს/მაღაზიის მოსწრებას და მასადაამე აღიარდება მყისიერად მაღაზიის გახსნისას, რაც წარმოადგენს ნაკისრი ვალდებულების დაკმაყოფილების მომენტს.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება მაღაზიის გახსნის მომენტში.
სხვა	სხვა შემოსავალი ძირითადად ნარჩენი/ჩამოფასებული მასალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისგან შედგება.	მსგავსი ხელშეკრულებების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს.

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

'000 ლარი	2019	2018
შესყიდვები	(428,374)	(409,437)
მომწოდებლებზე გაკეთებული ფასდაკლებები და შეღავათები	42,487	38,328
ცვლილება მარაგებში *	4,653	2,551
	(381,234)	(368,558)

*ცვლილება მარაგებში წარმოადგენს სხვაობას მარაგების საწყის და საბოლოო ნაშთებს, ფიზიკურ და კომერციულ შემცირებას, ნარჩენებისა და მარაგების ცვეთის ნაშთებს შორის.

8. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
პერსონალის ხარჯები	(33,620)	(31,609)
ცვეთა	(13,002)	(11,535)
მაღაზიის იჯარა	(7,389)	(11,391)
ტექნიკური მომსახურებისა და საოფისე ინვენტარის ხარჯები	(6,649)	(6,942)
კომუნალური ხარჯები	(4,822)	(4,704)
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა	(3,431)	-
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(3,216)	(2,868)
კარგურისთვის გადახდილი ფრანჩიზის საფასური	(2,538)	(2,400)
სარეკლამო და საპრომოციო საქმიანობა	(2,518)	(3,539)
ბანკის საკომისიო	(2,384)	(2,662)
უსაფრთხოების ხარჯები	(2,273)	(2,304)
სათაო ოფისის მომსახურების საფასური	(1,589)	(3,224)
მომსახურების ხარჯები	(434)	(452)
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები*	(334)	(381)
სხვა **	(3,638)	(4,799)
	(87,837)	(88,810)

* 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გასწია აუდიტის მომსახურების ხარჯი 152 ათასი ლარის ოდენობით (2018: 154 ათასი ლარი).

** მუხლი „სხვა“ ძირითადად შედგება შემდეგი ხარჯებისგან: დაზღვევა (თანამშრომლები და ქონება), ბიზნეს გართობის ხარჯები („თიმ-ბილდინგი“ და ა.შ.), სამოგზაურო ხარჯები (ავიაბილეთები, სასტუმროს ჯავშნები), ტელეკომუნიკაციები, ტრენინგები თანამშრომლებისთვის და სხვა ზოგადი ხარჯები.

პერსონალის ხარჯები მოიცავს:

‘000 ლარი	2019	2018
თანამშრომელთა საბოლოო სარგებლის ანარიცხები (იხილეთ შენიშვნა 20)	(351)	(711)
ბონუსი	(1,503)	(1,388)
თანამშრომლების მიერ გამოყენებული აქტივების ცვეთა	(13)	(11)
	(1,867)	(2,110)

თანამშრომელთა რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2,303 (2018: 2,314).

9. წმინდა ფინანსური ხარჯები

‘000 ლარი	2019	2018
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	2,511	2,520
ფინანსური შემოსავალი	2,511	2,520
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარის ნაშთებზე	(21,912)	(18,607)
საპროცენტო ხარჯი საბანკო ნაშთებზე	(41)	(911)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(2,229)	-
უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი წმინდა ზარალი	(15,435)	(7,383)
ფინანსური ხარჯები	(39,617)	(26,901)
წმინდა ფინანსური ხარჯები აღიარებული მოგებაში ან ზარალში	(37,106)	(24,381)

10. ძირითადი საშუალებები

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ხორციელდება საოპერაციო იჯარების ფარგლებში დაქირავებულ ობიექტებზე. საიჯარო ხელშეკრულებები ეხება 10-20 წლამდე პერიოდს და ისინი ახლდება ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, კომპანიასა და მემკვიდრეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების მაჩვენებლების ანალიზი და ვერ გამოავლინა ვერც გარე და ვერც შიდა გაუფასურების მინიშნება. ძირითადი მიზეზები თუ რატომ იყო კომპანია ზარალიანი წარმოდგენილია შენიშვნაში 2(b).

'000 ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მაღაზიების აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	ავტო- სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა	საოფისე და სხვა აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა	სულ
თვითღირებულება									
2019 წლის 1 იანვარს	72,693	15,126	1,503	218	6,989	355	2,049	2,568	101,501
შესყიდვები	1,627	650	118	-	1,136	41	223	-	3,795
რეკლასიფიკაცია									
გრძელვადიანი აქტივების ავანსებიდან	1,270	202	30	-	57	10	62	-	1,631
გაყიდვები	(32)	(227)	-	-	(17)	(4)	(3)	-	(283)
2019 წლის 31 დეკემბერს	75,558	15,751	1,651	218	8,165	402	2,331	2,568	106,644
ცვეთა									
2019 წლის 1 იანვარს	(24,011)	(8,594)	(966)	(179)	(4,340)	(233)	(1,258)	(344)	(39,925)
წლის ცვეთა	(7,724)	(2,851)	(276)	(12)	(1,471)	(63)	(348)	(257)	(13,002)
გაყიდვებზე	19	210	-	-	12	4	1	-	246
2019 წლის 31 დეკემბერს	(31,716)	(11,235)	(1,242)	(191)	(5,799)	(292)	(1,605)	(601)	(52,681)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	43,842	4,516	409	27	2,366	110	726	1,967	53,963

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

'000 ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მაღაზიების აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	ავტო- სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა	საოფისე და სხვა აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა	სულ
თვითღირებულება									
2018 წლის 1 იანვარს	63,544	12,564	1,388	168	5,942	349	1,884	2,568	88,407
შესყიდვები	1,220	1,116	4	50	673	4	102	-	3,169
რეკლასიფიკაცია									
გრძელვადიანი აქტივების ავანსებიდან	8,017	1,526	113	-	464	6	68	-	10,194
გადაცემა დაკავშირებული მხარეებისგან	-	14	-	-	-	-	-	-	14
გაყიდვები	(88)	(94)	(2)	-	(90)	(4)	(5)	-	(283)
2018 წლის 31 დეკემბერს	72,693	15,126	1,503	218	6,989	355	2,049	2,568	101,501
ცვეთა									
2018 წლის 1 იანვარს	(17,489)	(6,027)	(691)	(168)	(3,033)	(164)	(908)	(88)	(28,568)
წლის ცვეთა	(6,598)	(2,624)	(277)	(11)	(1,344)	(72)	(353)	(256)	(11,535)
გაყიდვებზე	76	57	2	-	37	3	3	-	178
2018 წლის 31 დეკემბერს	(24,011)	(8,594)	(966)	(179)	(4,340)	(233)	(1,258)	(344)	(39,925)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2018 წლის 31 დეკემბერს	48,682	6,532	537	39	2,649	122	791	2,224	61,576

11. ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის მიმდინარე კაპიტალური სამუშაოები

'000 ლარი	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	2,160	3,462
შესყიდვები წლის განმავლობაში	2,676	8,892
შემცირება წლის განმავლობაში	(1,631)	(10,194)
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბერს	3,205	2,160

ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის ძირითადად მოიცავს ჰიპერმარკეტების და სუპერმარკეტების მშენებლობისა და საიჯარო გაუმჯობესებისთვის შემსრულებლებისთვის გადახდილ თანხებს.

12. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გადასაყიდად ფლობილი საქონელი – ბრუტო ოდენობა	38,244	33,342
ფასდათმობების მიზეზით ხარჯის შემცირება	(2,810)	(2,766)
მარაგის დაძველების ანარიცხი	(962)	(598)
	34,472	29,978

კომპანია მარაგების მოძველების ანარიცხს აფასებს ვადიანობის, ბრუნვისა და ერთეულის მომგებიანობის მეთოდის საფუძველზე. ანარიცხის განაკვეთები განისაზღვრა ერთეულის ხასიათისა და ვადიანობის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გარდა, კონკრეტული ანარიცხი კეთდება სხვადასხვა კერძო შემთხვევებისთვის, ხელმძღვანელობის შეხედულებისამებრ.

2019 წელს 2,205 ათასი ლარის ოდენობით მარაგები (2018: 1,029 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა, წლის განმავლობაში ხარჯის სახით და შეტანილია „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში“.

2019 წელს მარაგების ჩამოწერამ წმინდა გასაყიდ ღირებულებაზე შეადგინა 4,372 ათასი ლარი (2018: 3,265 ათასი ლარი).

ჩამოწერების აღდგენამ კი შეადგინა 2,168 ათასი ლარი (2018: 2,236 ათასი ლარი). ჩამოწერა და აღდგენა შესულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში მარაგების ცვლილების სახით.

13. სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	3,190	3,861
წინასწარ გადახდილი ხარჯები	588	682
დღგ აქტივი	256	2,323
	4,034	6,866

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრები ბანკში	56,299	60,059
ბანკებისგან მისაღები ფულადი სახსრები გზაში	3,466	2,861
ფულადი სახსრები სალაროში	711	675
	60,476	63,595

სალაროში არსებული ფულადი სახსრები წარმოადგენს მაღაზიების ცენტრალურ სალაროში ბრუნვაში მყოფ ფულად სახსრებს და სალაროში არსებულ წვრილ ფულს. ბანკებისგან მისაღები ფულადი სახსრები გზაში წარმოადგენს მაღაზიებში ფულადი სახსრების მიღებების „მოლოდინის რეჟიმში“ მყოფ დეპოზიტებს და საკრედიტო ბარათის ჩეკებს.

ბანკში არსებული ფულადი სახსრები წარმოადგენს მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე არსებულ ოდენობებს და მოკლევადიან ანაბრებს ბანკებში ბაზარზე არსებული მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს ფულადი სახსრების ნაშთები ბანკებში არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

15. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას ჰქონდა საწესდებო კაპიტალი 4,876 ათასი ლარის ოდენობით (2018: ლარი 4,876 ათასი).

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

საწესდებო კაპიტალის მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ აქვთ კომპანიაში მათი წილის შესაბამისი ხმის უფლება კომპანიის კრებაზე.

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულის შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ზარალი, შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენდების სახით გასანაწილებლად ხელმისაწვდომი თანხა არ არსებობდა (2018: ნული).

16. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა კომპანიის მიზანია უზრუნველყოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის, კომპანიის შემოსავლების და მოგების და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომელიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის აქციონერების და მშობელი კომპანიების მიერ. ამ მიდგომით კომპანია გეგმავს მოგების სტაბილურ ზრდას.

კომპანიის ვალის კაპიტალთან თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სულ ვალდებულებები	366,734	318,159
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60,476	63,595
წმინდა ვალი	306,258	254,564
სულ კაპიტალი	(186,506)	(153,984)
წმინდა ვალის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1.64)	(1.65)

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში არ ყოფილა ცვლილებები წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

17. სესხები და კრედიტები

მოცემული შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას კომპანიის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობებზე, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაციისთვის, საპროცენტო განაკვეთზე, უცხოურ ვალუტასა და ლიკვიდურობის რისკებზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ, იხილეთ შენიშვნა 22.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხი ბანკისგან	-	4,689
	-	4,689
მიმდინარე ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	225,972	206,048
არაუზრუნველყოფილი სესხი ბანკისგან	-	3,207
	225,972	209,255
	225,972	213,944

– 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიამ დაფარა EBRD-ის სესხის მთლიანი დაუფარავი ნაშთი.

დაკავშირებული მხარის სესხი

2012 წლის 1 იანვარს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება მის პირდაპირ მშობელ კომპანიასთან. საკრედიტო ხაზის ლიმიტი არის 50,000 ათასი აშშ დოლარი, არაუზრუნველყოფილი, დაფარვით მოთხოვნამდე და აქვს ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი 11%.

2017 წლის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ გამოყო 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზი და დამატებით საკრედიტო ხაზზე დაადგინა ფიქსირებული წლიური 9%-იანი საპროცენტო განაკვეთი (50 მილიონ აშშ დოლარამდე საკრედიტო ხაზის ფიქსირებულ წლიურ 11 %-თან შედარებით). ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩა უცვლელი.

ამასთანავე, 2018 წლის 18 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა მესამე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება მის პირდაპირ მშობელ კომპანიასთან. საკრედიტო ხაზის ლიმიტია 25,000 ათასი აშშ დოლარი, არაუზრუნველყოფილი, დაფარვით მოთხოვნამდე და აქვს ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი 7.5%.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ დაკავშირებულ მხარეს გადაუხადა 37,446 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი ნაშთი (2018: ნული).

ნაშთი მოიცავს 2019 წელს 20,330 ათასი ლარის ოდენობით გადაცემას დაკავშირებული მხარის ვალდებულების ნაშთიდან, ზემოთხსენებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების მიხედვით (2018: 13,493 ათასი ლარი).

დაკავშირებული მხარის ნაშთები არ არის უზრუნველყოფილი და არ გააჩნია ფიქსირებული დაფარვის პირობები. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მოცემული ნაშთები დაფარვადია მოთხოვნამდე.

(a) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

‘000 ლარი	1 იანვარი 2019	დარიცხული პროცენტი	გადატანა		გადახდილი პროცენტი	უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი ზარალი	31 დეკემბერი 2019
			მიმდინარე ანგარიშიდან	გადახდილი ძირითადი			
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	206,048	21,912	20,330	(37,446)	-	15,128	225,972
არაუზრუნველყოფილი სესხი ბანკისგან	7,896	41	-	(7,814)	(123)	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	213,944	21,953	20,330	(45,260)	(123)	15,128	225,972

‘000 ლარი	1 იანვარი 2018	დარიცხული პროცენტი	გადატანა		გადახდილი პროცენტი	უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოქმნილი ზარალი	31 დეკემბერი 2018
			მიმდინარე ანგარიშიდან	გადახდილი ძირითადი			
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	166,560	18,607	13,493	-	-	7,388	206,048
არაუზრუნველყოფილი სესხი ბანკისგან	11,055	911	-	(3,125)	(945)	-	7,896
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	177,615	19,518	13,493	(3,125)	(945)	7,388	213,944

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	94,202	86,749
დარიცხული ხარჯები	12,328	7,345
სხვა კრედიტორები	2,924	3,073
სხვა ვალდებულებები	1,723	2,299
	111,177	99,466

კომპანიის დაკვემდებარება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე იხილეთ 22-ე შენიშვნაში.

19. ანარიცხები

მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

'000 ლარი	1 იანვარი	ანარიცხი	(გადახდა) /აღდგენა	31 დეკემბერი
თანამშრომელთა ბონუსის ანარიცხი	1,826	1,268	(1,557)	1,537
ანარიცხი – სხვა	573	2,797	(2,767)	603
	<u>2,399</u>	<u>4,065</u>	<u>(4,324)</u>	<u>2,140</u>

მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

'000 ლარი	1 იანვარი	ანარიცხი	(გადახდა) /აღდგენა	31 დეკემბერი
თანამშრომელთა ბონუსის ანარიცხი	1,411	1,432	(1,017)	1,826
ანარიცხი – სხვა	350	2,459	(2,236)	573
	<u>1,761</u>	<u>3,891</u>	<u>(3,253)</u>	<u>2,399</u>

20. თანამშრომელთა საბოლოო სარგებლის ანარიცხი

მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	2,350	1,904
დარიცხვა წლის განმავლობაში (იხილეთ შენიშვნა 8(i))	351	711
გამოკლებული: გადახდები/წლის განმავლობაში გაკეთებული აღდგენები	(185)	(265)
ნაშთი 31 დეკემბერს	<u>2,516</u>	<u>2,350</u>

21. იჯარები

იჯარები როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით იღებს მის რამდენიმე მაღაზიას და საოფისე სივრცეს. იჯარის ვადები და საიჯარო ქირა განსხვავდება სხვადასხვა საიჯარო ხელშეკრულებების შემთხვევაში. მაღაზიების სივრცის იჯარები, როგორც წესი, გრძელდება მინიმალური არაგაუქმებადი პერიოდით 1-10 წლამდე.

ადრე, აღნიშნული იჯარები კლასიფიცირდებოდა საოპერაციო იჯარების სახით ბასს 17-ის ფარგლებში.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე და აღრიცხავს აქტივის გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას წარმოდგენილია ქვემოთ:

აქტივი გამოყენების უფლებით

'000 ლარი	მაღაზიის სივრცე	საოფისე სივრცე	სულ
2019 – იჯარები			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	25,793	1,255	27,048
გადაფასება	461	-	461
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(3,105)	(326)	(3,431)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	<u>23,149</u>	<u>929</u>	<u>24,078</u>

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

‘000 ლარი	2019
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	(2,229)
ცვლად საიჯარო გადახდებზე მიკუთვნებადი ხარჯები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულების შეფასებაში	(7,389)
შემოსავალი აქტივები გამოყენების უფლებით ქვეიჯარებიდან, წარმოდგენილი „სხვა შემოსავალში“	98
სულ	(9,520)
2018 – საოპერაციო იჯარები ზასს 17-ის ფარგლებში	2018
საიჯარო ხარჯი	(11,391)
ქვეიჯარის შემოსავალი	100
	(11,291)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

‘000 ლარი	2019
სულ ფულადი სახსრების გადინებები იჯარებისთვის	(4,809)

იჯარის ვადა

კომპანია საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის იძულებითი აღსრულების ფართო ინტერპრეტირებას ახდენს. იჯარის ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ მოლოდინს იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივის გამოყენება მოხდება. იჯარის ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე აფუძნებს და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე და მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციებში იყოს ეფექტურად ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

იჯარის იძულებითი აღსრულების პერიოდის დადგენისას, კომპანია ასევე ითვალისწინებს იმ საიჯარო კეთილმოწყობების მიტოვების და დაშლის ხარჯებს, რომელთა მოხსნაც შეუძლებელია, ადგილმდებარეობის ცვლილების ხარჯებს და ა.შ.

ყველა იჯარა არის გაუქმებადი მოიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების დაფარვის ვადის დადგომამდე. კომპანიამ გაანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დაასკვნა, რომ:

- მაღაზიების იჯარების შემთხვევაში, იჯარის ვადა ტოლია სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე პერიოდისა;
- ოფისის იჯარის შემთხვევაში, საიჯარო ვადა სახელშეკრულებო დაფარვის ვადას სცდება 3 წლით (ზემოაღნიშნული საიჯარო ხელშეკრულების ნარჩენი საიჯარო ვადა არის 3 წელი და 10 თვე, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება აქტივის გაყიდვით მიღებული ან ვალდებულების გადასაცემად გადასახდელი ფასის მისაახლოებლად ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ჩვეულებრივ ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. თუმცა, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში რეალიზებადი ღირებულება.

„კომპანია“ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით განსაზღვრა. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებამდე მისვლა, რაც ასახავს აქტივის გაყიდვით მიღებული ან ვალდებულების გადასაცემად გადასახდელი ფასის მიახლოებას ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ჩვეულებრივ ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გაანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხის და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება პროცენტის საბაზრო განაკვეთით ანგარიშგების თარიღისთვის.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება.

(b) ფინანსური რისკის მართვა

„კომპანია“ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით დამოკიდებულია შემდეგ რისკებზე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 22 (c));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 22 (d));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 22 (e)).

ეს შენიშვნა ასახავს ინფორმაციას კომპანიის დაქვემდებარებაზე თითოეულ ზემოთ მოყვანილ რისკზე, კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებს და პროცესებს რისკის შეფასებისა და მართვისთვის.

რისკის მართვის სტრუქტურა

რეგიონალურ გენერალურ მენეჯერს და რეგიონალურ ფინანსურ მენეჯერს აქვთ მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და მიმოხილვაზე. ფინანსური მენეჯერი ანგარიშვალდებულია გენერალური მენეჯერის წინაშე, ხოლო ეს უკანასკნელი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშობება კომპანიის მიერ ბანკებში მიმდინარე და „ქოლ“ ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ანგარიშგების თარიღისთვის იყო შემდეგი:

’000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრები ბანკში	56,299	60,059
ბანკებისგან მისაღები ფულადი სახსრები გზაში	3,466	2,861
სულ	59,765	62,920

2019 წლის 31 დეკემბერს, კომპანია ფლობს ფულად სახსრებს ბანკში და ბანკებისგან მისაღებ ფულად სახსრებს გზაში 59,765 ათასი ლარის ოდენობით (2018: 62,920 ათასი ლარი), რაც წარმოადგენს მის მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას ამ აქტივებზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დაცულია ქართულ ბანკებში, ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით 'B'. არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე. კომპანიას არ მიაჩნია, რომ კონტრაქტები ვერ შეძლებენ ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაიფარება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში მიუღებელი დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ საკრედიტო ხაზის ფარგლებში გამოყოფილი თანხები, ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრების დამატებით, შეესაბამებოდეს ყველა ნაკისრი ხარჯის დასაფარად აუცილებელ ოდენობას მომდევნო 18 თვის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს 11,201 ათასი აშშ დოლარის ოდენობით გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი მშობელი კომპანიისგან (2018 წლის 31 დეკემბერი: 13,019 ათასი აშშ დოლარი).

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ განსაზღვრულია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადები საანგარიშგებო თარიღების მდგომარეობით. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს:

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	სახელშეკრულებო						
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნა -მდე	12 თვე ან ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
მოკლევადიანი სესხები							
დაკავშირებული მხარეებისგან	225,972	225,972	225,972	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა							
ვალდებულებები	109,454	109,454	-	109,454	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	24,929	44,015	-	4,242	4,242	10,584	24,948
სულ	360,355	379,441	225,972	113,696	4,242	10,584	24,948

31 დეკემბერი 2018

'000 ლარი	სახელშეკრულებო						
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნა -მდე	12 თვე ან ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
მოკლევადიანი სესხები							
დაკავშირებული მხარეებისგან	206,048	206,048	206,048	-	-	-	-
სესხი ბანკისგან	7,896	8,892	-	3,774	3,484	1,634	-
სავაჭრო და სხვა							
ვალდებულებები	97,167	97,167	-	97,167	-	-	-
სულ	311,111	312,107	206,048	100,941	3,484	1,634	-

ხანდაზმულობის ანალიზში შეტანილი ფულადი ნაკადების გადინება არ არის მოსალოდნელი, რომ მოხდეს არსებითად ადრე ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

(e) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის მართვის მიზნით კომპანია აღრიცხვაში არ იყენებს ჰეჯირების მეთოდებს.

(i) სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან არსებობს შეუსაბამოა შესყიდვებისა და კრედიტების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის რისკზე 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2019	ევროში დენომინირებული 2019	აშშ დოლარში დენომინირებული 2018	ევროში დენომინირებული 2018
ფულადი სახსრები ბანკში	6	15	197	95
მოკლევადიანი სესხები				
დაკავშირებული მხარეებისგან	(225,972)	-	(206,048)	-
საიჯარო ვალდებულება	(828)	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,215)	(2,596)	(3,830)	(1,157)
წმინდა დაქვემდებარება	(230,009)	(2,581)	(209,681)	(1,062)

ქვემოთ განსაზღვრულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2019	2018	2019	2018
1 აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2.6766
1 ევრო	3.1553	2.9913	3.2095	3.0701

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზი მიიჩნევს, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და არ ითვალისწინებს პროგნოზირებადი გაყიდვებისა და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

‘000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	23,001	(23,001)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	258	(258)
31 დეკემბერი 2018		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	20,968	(20,968)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	106	(106)

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში ძირითადად გავლენა აქვს სესხებსა და კრედიტებზე და ცვლის მათ სამართლიან ღირებულებას (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათ მომავალ ფულად ნაკადებს (სესხი ცვლადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად კომპანიის დაქვემდებარების რა ნაწილი უნდა იყოს ფიქსირებული და რა ნაწილი ცვლადი განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხებისა და კრედიტების აღებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას, რომ გადაწყვიტოს ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა კომპანიისთვის, თუ ცვლადი მოსალოდნელი პერიოდის მანძილზე, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

ანგარიშგების თარიღში, კომპანიის პროცენტთან ფინანსური ინსტრუმენტების პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	56,250	16,192
ფინანსური ვალდებულებები	(250,901)	(206,048)
	(194,651)	(189,856)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური აქტივები	-	39,382
ფინანსური ვალდებულებები	-	(7,896)
	-	31,486

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

გონივრული შესაძლო 100 საბაზისო პუნქტიანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღში გაზრდიდა/(შემცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ეს ანალიზი მიიჩნევს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი უცხოური ვალუტის კურსები უცვლელი დარჩება.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	100 საბაზისო პუნქტით ზრდა	100 საბაზისო პუნქტით შემცირება
2019		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	-	-
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა ((წმინდა)	-	-
2018		
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	315	(315)
ფულადი ნაკადების მგრძნობელობა ((წმინდა)	315	(315)

23. პირობითი ვალდებულებები

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია სასამართლო სარჩელების, საქმეთწარმოებების და დავების საგანს წარმოადგენს. ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი სამართალწარმოებებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს სხვა საწარმოებთან, რომლებიც შესაბამისა დაკავშირებული მხარის განმარტებას, რომელიც მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“. ფასწარმოქმნის პოლიტიკები და ამ ოპერაციების პირობები მტკიცდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და მათზე ვრცელდება შეთანხმებული განაკვეთები.

კომპანია აწარმოებს ოპერაციებს მის დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც ძირითადად არიან მშობელი კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები, საბოლოო ჰოლდინგური კომპანია და მისი შვილობილები, ასევე მის წამყვანი მმართველი პერსონალი ან მათი ოჯახის ახლო წევრები.

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს „Majid Al Futtaim Hypermarkets“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა შპს „Majid Al Futtaim Capital“.

შემდეგი უმაღლესი მშობელი კომპანია, რომელიც გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფასს-სთან შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას არის შპს „Majid Al Futtaim Holding“-ი.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

გარე დამოუკიდებელი დირექტორების და წამყვანი ხელმძღვანელი თანამშრომლების მთლიანი კომპენსაცია იყო შემდეგი:

‘000 ლარი	2019	2018
თანამშრომელთა სარგებელი (ხელფასები და რეზერვები ბონუსის და თანამშრომელთა სარგებლის ანარიცხების ჩათვლით)	3,654	3,154
პერსონალის საბოლოო სარგებელის ანარიცხი	164	446
	3,818	3,600

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

‘000 ლარი	2019	2018
სესხის დაფარვა	(37,446)	-
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარის ნაშთზე - წმინდა (იხილეთ შენიშვნა 9)	(21,912)	(18,607)
შესყიდვები	(13,069)	(5,845)
ფრანშიზის საფასური (იხილეთ შენიშვნა 8)	(2,538)	(2,400)
სათაო ოფისის მომსახურების საფასური (იხილეთ შენიშვნა 8)	(1,589)	(3,224)
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
‘000 ლარი	225,972	206,048
სესხი მშობელი კომპანიისგან შპს „Majid Al Futtaim Hypermarkets“		

დაკავშირებულ მხარეთა ნაშთები არის არაუზრუნველყოფილი და ფიქსირებული დაფარვის ვადების გარეშე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნაშთები არის დაფარვადი მოითხოვნისას.

25. შემდგომი მოვლენები

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობამ შემოღებული ზომების ეტაპობრივი გაუქმება 2020 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ზომებისა, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების ნებადართვის თარიღისათვის, კომპანია ჩვეულებრივად აგრძელებს მის საქმიანობას. იხილეთ ასევე შენიშვნა 2(b).

კომპანიის მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა ამჟამად ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ COVID-19-ის აფეთქებას ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს რომ გახანგრძლივებულ საკარანტინე პერიოდს, ზომების სიმკაცრის ზრდას ან მსგავსი ზომების შემდგომ უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები.

ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების შესამსუბუქებლად (მათი მოხდენისას) მიიღებს საპასუხო ზომებს.

26. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა 2019 წლის 1 იანვრიდან ფასს 16-ის გამოყენებისა და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ.

(a) შემოსავლის აღიარება

ინფორმაცია კომპანიის კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე მოცემულია შენიშვნაში 6(c).

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

„კომპანიის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავალის გამოთვლა უზრუნველბა მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღისთვის კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე მოგება ან ზარალი უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას სამუშაო ვალუტაში, კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში და უცხოურ ვალუტაში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით. ოპერაციებში წარმოშობილი ცვლილებები უცხოურ ვალუტაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი ერთეულები შეფასებული ისტორიული ღირებულების საფუძველზე კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

(d) თანამშრომელთა სარგებელი

(i) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ii) პერსონალის საბოლოო და საპენსიო სარგებელი

საბოლოო და საპენსიო სარგებელი ყველა თანამშრომლისთვის (გარდა საქართველოს მოქალაქეებისა), რომლებიც გრძელვადიანი ვალდებულების სახით აღირიცხება, გადაიხდება ჯგუფის პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად. ამგვარი სარგებლის ანარიცხი განისაზღვრება შემდეგი სახით:

- მიმდინარე და წინა წლებში შესრულებული მომსახურებისთვის დასაქმებული პირების მიერ გამომუშავებული გასამრჯელოს თანხის სანდოდ შეფასება. აღნიშნული მოითხოვს დემოგრაფიული და ფინანსური ცვლადების შეფასებას, რომლებსაც სარგებლის ღირებულებაზე ექნებათ გავლენა;
- ამგვარი სარგებლის დისკონტირება, განსაზღვრული სარგებლის ვალდებულების და მიმდინარე მომსახურების თვითღირებულების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მიზნით; და
- ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშობა.

(e) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ საზღვრებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს სხვა გადასახადების მუხლში (მოგების გადასახადის გარდა).

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. კომპანიის შიდა ძალებით დამზადებული აქტივები მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ხარჯს და ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, დემონტაჟის და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს, იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯებს, სადაც განთავსებული იყო ამგვარი აქტივი. პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, რომელიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება, ამგვარი მოწყობილობის ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულების (ძირითადი კომპონენტი) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ამონაგების საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და წმინდა ოდენობით აღიარდება სხვა შემოსავალის/(ხარჯის) სახით მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რომელიმე კომპონენტის გამოცვლის ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ ამგვარ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და მისი ღირებულება შესაძლოა სანდოდ იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება აღიარდება ხარჯად მათი გაწევის მომენტიდან.

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან.

ცვეთა დაანგარიშდება ძირითადი საშუალებების ერთეულების თვითღირებულების ჩამოსაწერად, მათი მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთა ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საიჯარო კეთილმოწყობებზე ცვეთა ირიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
მაღაზიების აღჭურვილობა	4
მანქანა-დანადგარები	4
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	4
კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფები	3-4
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	4
ავეჯი და მოწყობილობები	4

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და, შესაბამისობის შემთხვევაში, იცვლება.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობისას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების ხელშემკვრელი მხარე. ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულებისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიჯნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

თავდაპირველი აღიარებისას კაპიტალის ინვესტიციისთვის რომელიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აღიაროს ფინანსური აქტივი რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს პირობებს, როგორც შეფასებადი ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ეს აღმოჩნდება ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სასესხო მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და არის კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. ეს აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს 3 თვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით შემენის დღიდან, რომლებიც ექვემდებარებოდა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების არა არსებით რისკს.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილებისა, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯიდან და უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყველა ფინანსურ ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითა თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითაა შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- ფინანსური აქტივის პირობების ცვლილება რომელიც იწვევს შეუსაბამობას „SPPI“ კრიტერიუმთან (ანუ კონვერტაციის ფუნქციის გათვალისწინება).

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგებისა ან ზარალის კორექტირებას მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ საადრიცხო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ის მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად გააჩნია ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება, თუ ეს უფლება არ არის პირობითი და დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და გამოყენებადი როგორც ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას ასევე დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან კომპანიის და ყველა სხვა კონტრაქტის გაკოტრების შემთხვევაში.

(i) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ინვესტიციებისთვის; და
- სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეზერვების აღრიცხვა ხდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები რომლისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ დეფოლტის ალბათობა ფინანსური ინტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულებების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი აისახება მოგებაში ან ზარალში და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის ჩამოწერილი თანხიდან არსებითი ოდენობის ამოღებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებისგან.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით) რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(j) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება ტოლია საბოლოო შეძენის ფასს დამატებული ყველა დაკავშირებული ხარჯები. ეს მეთოდი შესაფერისია მარაგების სწრაფი მოძრაობის გამო და მიღებული ღირებულებები უახლოვდება „პირველი შემოსული პირველი გასული“ (FIFO) მეთოდით დათვლილ ღირებულებას. მარაგის ღირებულება მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და სხვა პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად და ითვალისწინებს მომწოდებლებთან შეთანხმებულ ფასდაკლებებს.

(k) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტერებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტერების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(l) იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები განხილულია ცალკე.

2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს და ცვლად გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის განსჯას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

2019 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ განსაზღვრა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას, შემდეგი შეფასების საფუძველზე:

- დამოკიდებული იყო თუ არა გარიგების შესრულება კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე; და
- გარიგებამ გადასცა თუ არა აქტივის გამოყენების უფლება. გარიგება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას თუ ერთ-ერთი შემდგომი პირობა არის დაკმაყოფილებული:
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივის გამოყენების უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად;
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივზე ფიზიკური წვდომის კონტროლის უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად; ან
- ფაქტები და გარემოებები მიუთითებდა იმაზე, რომ იმის ალბათობა რომ სხვა მხარეებმა მიიღონ გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტი, იყო ძალიან დაბალი, და ერთეულის ფასი არ იყო არც ფიქსირებული გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულზე, არც ტოლი გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

როგორც მოიჯარე

შესადარის პერიოდში, კომპანიას არ ჰქონდა ფინანსურ იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები.

სხვა იჯარების ფარგლებში ფლობილი აქტივები კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარების სახით და არ იყო აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარების ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. მიღებული საიჯარო სტიმულირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარდა მთლიანი საიჯარო ხარჯის განუყოფელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის მანძილზე.

28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).
- არსებითის განმარტება (ფასს 1-ისა და ფასს 8-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

2020 წლის 29 სექტემბერი

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“

2019 წლის მმართველობითი ანგარიში

სარჩევი

გვერდი

1. კომპანიის შესახებ	3
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	3
3. კომპანიის ჯამური შემოსავლები და მნიშვნელოვანი აქტივები (ლარი '000).....	4
4. კომპანიის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები (ლარი '000).....	4
5. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა	6

1. კომპანიის შესახებ

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) 2011 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. კომპანია დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 404923749.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოში ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელის ფუნქციონირება და მართვაა. 2012 წლის სექტემბერში კომპანიამ გახსნა თვისი პირველი ჰიპერმარკეტი „კარფური“ თბილისში. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია ორი ჰიპერმარკეტით, 11 სუპერმარკეტითა და ექვსი პატარა ფორმატის სუპერმარკეტით (2018 წელს ორი ჰიპერმარკეტი, 10 სუპერმარკეტი და ერთი პატარა ფორმატის სუპერმარკეტი.)

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ნავთლუდის ქუჩა #8ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მიზანია საქართველოში არსებული საოჯახო პროდუქტების საუკეთესო ხარისხისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. კომპანიის სტრატეგია არის პროდუქტების ყველაზე დაბალ ფასად რეალიზაცია.

კომპანია არის შპს „Majid Al Futtaim Hypermarkets“-ის შვილობილი, რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფლობს 100%-იან წილს. კომპანიის დაფინანსება და საკრედიტო დამოკიდებულება შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფიდან მოდის. ამასთან, კომპანიის საქმიანობები მჭიდროდ არის დაკავშირებული შპს „Majid Al Futtaim Retail“-ის მართვის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან.

კომპანიამ აქტიურად დაიწყო ელექტრონული მიმართულებით განვითარება. დღეის მდგომარეობით უკვე შექმნილია კარფურის მობილურის აპლიკაცია და ვებ-გვერდი carrefourgeorgia.com. მომხმარებელს ასევე ეძლევა საშუალება მაღაზიებში ისარგებლოს უფასო ინტერნეტითა და მობილურის სატენი გაჩერებებით. კომპანია ასევე აქტიურად არის წარმოდგენილი გაყიდვების ციფრული არხით „გლოვოსთან“ პარტნიორობით.

კომპანია აგრძელებს განვითარებას და მომავალშიც დაგეგმილია ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელის კიდევ უფრო გაფართოვება, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში. კომპანია ასევე აქტიურად გააგრძელებს პატარა ფორმატის სუპერმარკეტების გახსნას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია მუდმივად ახდენს ახალი ლოკაციების მოძიებასა და შესწავლას საერთაშორისო კონსულტანტების ჩართულობით.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

კარფურმა 2019 წელს გახსნა 1 სუპერმარკეტი და დამატებით 5 პატარა ფორმატის სუპერმარკეტი. 2019 წლის ბოლოსთვის მომხმარებელთა საერთო რაოდენობამ გადააჭარბა 18 მილიონს.

2019 წლის ბოლოსთვის კომპანია წარმოდგენილი იყო 19 ობიექტით:


- თბილისი - 2 ჰიპერმარკეტი;
- თბილისი- 9 სუპერმარკეტი;
- თბილისი- 5 პატარა სუპერმარკეტი;
- ბათუმი- 2 სუპერმარკეტი.
- რუსთავი - 1 პატარა სუპერმარკეტი;

კომპანიაში 2019 წლის ბოლოსთვის მუშაობდა 2,303 თანამშრომელი, მათ შორის, შესაბამის პოზიციებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც.

კომპანია მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებებში. ჩვენს ყველა ობიექტზე განთავსებულია საქველმოქმედო ფონდების ყულაბები.

კარგური აქტიურად ზრუნავს გარემოს დაცვაზე და მუდმივად მონაწილეობს შესაბამისი შინაარსის აქციებში. 2019 წელშიც აქტიურად გაგრძელდა მრავალჯერადი გამოყენების ჩანთების პოპულარიზაცია პოლიეთილენის პარკების მოხმარების შემცირების მიზნით.

3. კომპანიის ჯამური შემოსავლები და მნიშვნელოვანი აქტივები (ლარი '000)



4. კომპანიის სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები (ლარი '000)

შემოსავალი

	2019 წელი ლარი'000	2018 წელი ლარი'000
საქონლის რეალიზაცია	455,111	430,346
სხვა მომსახურებები	18,577	24,429
	473,688	454,775

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019 წელი ლარი'000	2018 წელი ლარი'000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(381,234)	(368,558)

საოპერაციო ხარჯები

	2019 წელი ლარი'000	2018 წელი ლარი'000
პერსონალის ხარჯი	(33,620)	(31,609)
ცვეთა და გაუფასურების ზარალი	(13,002)	(11,535)
მაღაზიის იჯარა	(7,389)	(11,391)
ტექნიკური მომსახურება და საოფისე ინვენტარის ხარჯი	(6,649)	(6,942)
კომუნალური ხარჯები	(4,822)	(4,704)
რეკლამა და პოპულარიზაცია	(2,518)	(3,539)
მომსახურების ცენტრი	(1,589)	(3,224)
სხვადასხვა საოპერაციო ხარჯები	(18,248)	(15,866)
	(87,837)	(88,810)

წმინდა ფინანსური ხარჯი

	2019 წელი ლარი'000	2018 წელი ლარი'000
<i>მოგებაში ან ზარალში აღიარებული</i>		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	2,511	2,520
უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოშობილი წმინდა შემოსულობა	-	-
ფინანსური შემოსავალი	2,511	2,520
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარის ნაშთზე	(21,912)	(18,607)
საპროცენტო ხარჯი საბანკო ნაშთებზე	(41)	(911)
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	(2,229)	-
უცხოური ვალუტის გადაფასებით წარმოშობილი წმინდა ზარალი	(15,435)	(7,383)
ფინანსური ხარჯი	(39,617)	(26,901)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(37,106)	(24,381)

სესხები და კრედიტები

	31 დეკემბერი, 2019 ლარი'000	31 დეკემბერი, 2018 ლარი'000
შპს „Majid Al Futtaim Hypermarkets“	225,972	206,048
	[^] agrees with the audited financial statements [^]	

(ii) სესხები ბანკისგან

	31 დეკემბერი, 2019 ლარი'000	31 დეკემბერი, 2018 ლარი'000
<i>გრძელვადიანი</i>		
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	-	4,689
<i>მიმდინარე</i>		
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	-	3,207

2016 წლის 17 მარტს კომპანიამ გააფორმა გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD). საკრედიტო ლიმიტი 39 500 ათასი აშშ დოლარს შეადგენდა.

2019 წლის პირველ კვარტალში კომპანიამ სრულად დაფარა EBRD-ის მიმართ არსებული სასესხო დავალიანება.

5. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

ხელმძღვანელობა იღებს სრულ პასუხისმგებლობას კომპანიის რისკის მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა შემუშავებულია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირების, ანალიზის, სათანადო რისკის შეზღუდვების, კონტროლის უზრუნველყოფის, რისკების მონიტორინგის და შეზღუდვების დაცვის მიზნით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა განიხილება რეგულარულად, საბაზრო პირობების და კომპანიის საქმიანობის ცვლილების ასახვის მიზნით. კომპანია, ტრეინინგისა და ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ყველა თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ როლს და ვალდებულებას.

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე აისახება საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებასა და დახვეწას.

მენეჯმენტი

გენერალურ მენეჯერს და ფინანსურ მენეჯერს აქვთ მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და მიმოხილვაზე. ფინანსური მენეჯერი ანგარიშვალდებულია გენერალური მენეჯერის წინაშე, ხოლო ეს უკანასკნელი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს.

კარფურის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. რისკების დროულად იდენტიფიცირების და განეიტრალება. კომპანიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივი პერიოდულობით ახორციელებენ შიდა აუდიტს. გარდა ამისა, დამფუძნებელი კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილებაც ატარებს შემოწმებებს, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი შესაბამისი რისკები და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი კონტროლი.

ქვემოთ ჩამოთვლილია კარფურის ის ძირითადი რისკები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე.

საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება და შესაბამისად აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი. რისკების განეიტრალების მიზნით კომპანიას დაქირავებული ყავს როგორც შიდა სპეციალისტები, ასევე იყენებს გარე საკონსულტაციო მომსახურებასაც. კომპანია ახდენს საგადასახადო და იურიდიული გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას პოტენციური რისკების შემცირების მიზნით.

კიბერშეტევებით გამოწვეული რისკები

კარფურის საქმიანობა დამოკიდებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების სიტემებზე. შესაბამისად კიბერშეტევებმა შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხებები კარფურის საქმიანობაში. კომპანია ახდენს ნახსენები სისტემების დაცვას როგორც შიდა ძალებით, ასევე დამფუძნებელ კომპანიაში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც ახორციელებენ კიბერშეტევების საფრთხის მუდმივ მონიტორინგს მრავალ ქვეყანაში და საფრთხის შემთხვევაში ხდება წინასწარი ინფორმირება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშვება კომპანიის სხვა მოთხოვნებიდან და ბანკებში მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე არსებული ფულადი სახსრებიდან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაიფარება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანია ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ისე კრიზისულ პერიოდში, დამატებითი დანაკარგების და კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული რისკის ეფექტურად მართვის მაგალითი კომპანიამ აჩვენა კოვიდ-19-ის ვირუსთან დაკავშირებული საყოველთაო შეზღუდვების დაწესების პერიოდში, რა დროსაც შეძლო ადეკვატურად ემართა სხვადასხვა ოპერაციები, მიეღო შემოსავლები და ამავდროულად დაეფარა მიმდინარე ვალდებულებები, საოპერაციო ხარჯები, და სხვა.

სავალუტო რისკი

კომპანია განიცდის სავალუტო რისკის გავლენას, რადგან არსებობს განსხვავება - შესყიდვების, სასესხო ვალდებულებების და კომპანიის გაყიდვების - სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. საერთაშორისო ოპერაციები უმეტესად დენომინირებულია ევროში და აშშ დოლარში.

სხვა რისკები - COVID-19

კოვიდ-19 პანდემიის გამოჩენამ 2020 წლის დასაწყისში და სწრაფმა გავრცელებამ მთელი მსოფლიოს ბიზნესს გარემოზე მოახდინა გავლენა, მათ შორის საქართველოზეც.

პოტენციური საფრთხის თავიდან ასარიდებლად საქართველოს მთავრობამ დააწესა გარკვეული შეზღუდვები, რაც ეხებოდა საზღვარზე ხალხის მოძრაობის აკრძალვას, ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს უცხოელი ვიზიტორებისთვის . ასევე, მთავრობამ მოუწოდა ბიზნესს, რომ თუ შესაძლებლობა ჰქონდათ თანამშრომლები გადაეყვანათ დისტანციურ მუშაობაზე.

2020 წლის მარტში დამატებითი რეგულაციებიც ამოქმედდა, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური დისტანციის უზრუნველყოფას. ამ მიზნით გადაწყდა სკოლების , უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოების , მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დროებით დახურვა. ზემოთ ხსენებული რეგულაციების გაუქმება დაიწყო ეტაპობრივად 2020 წლის მაისიდან.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული რისკებისა კომპანია ჩვეულებრივ აგრძელებს ოპერირებას და მენეჯმენტი არ ელოდება ვირუსის მიზეზით რაიმე უარყოფით ცვლილებას კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, მხოლოდ ორი ჰიპერმარკეტი იყო დახურული რამდენიმე დღით - აღდგომის დღესასწაულის განმავლობაში.

მენეჯმენტი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა პანდემია უფრო მეტად გამწვავდეს და ვირუსმა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე გრძელვადიან პერიოდში. თუმცა კომპანიას გათვალისწინებული აქვს უარყოფითი სცენარები და მზადაა ადაპტაცია მოახდინოს და გადაგეგმოს ოპერაციები საჭიროებისამებრ. მენეჯმენტი აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მზადაა სწრაფად უპასუხოს ახალ გამოწვევებს.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტ ჯორჯიას“ 2019 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2020 წლის 29 სექტემბერს:

ფინანსური მენეჯერი

დავით ქარქაშაძე

გენერალური მენეჯერი

კრისტოფ ორსე

მიუხედავად ზემოთ ხსენებული რისკებისა კომპანია ჩვეულებრივ აგრძელებს ოპერირებას და მენეჯმენტი არ ელოდება ვირუსის მიზეზით რაიმე უარყოფით ცვლილებას კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, მხოლოდ ორი ჰიპერმარკეტი იყო დახურული რამდენიმე დღით - ალდგომის დღესასწაულის განმავლობაში.

მენეჯმენტი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა პანდემია უფრო მეტად გამწვავდეს და ვირუსმა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე გრძელვადიან პერიოდში. თუმცა კომპანიას გათვალისწინებული აქვს უარყოფითი სცენარები და მზადაა ადაპტაცია მოახდინოს და გადაგეგმოს ოპერაციები საჭიროებისამებრ. მენეჯმენტი აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მზადაა სწრაფად უპასუხოს ახალ გამოწვევებს.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტ ჯორჯიას“ 2019 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2020 წლის 29 სექტემბერს:

ფინანსური მენეჯერი

დავით ქარქაშაძე

გენერალური მენეჯერი

კრისტოფ ორსე